საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030129275966319

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/11343 **21 / ივნისი / 2019 წ.**

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოვიდა ორგანიზაცია „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალის“ პრეზიდენტის, ქალბატონ ქეთევან ბარათელის კორესპონდენცია (N288, 05.06.19, რეგისტრაციის N80091, 05.06.19), რომელიც შეეხება მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ცენტრის დაარსების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სარეაბილიტაციო სერვისების განვითარება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. საერთაშორისო პრაქტიკა მიუთითებს, რომ რეაბილიტაცია აუმჯობესებს კლინიკურ გამოსავლებს და პაციენტის ცხოვრების ხარისხს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მთელი რიგი პათოლოგიების, ნევროლოგიური დარღვევების (მაგ. ინსულტი), სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებების და სხვა სისტემების არაერთი დაავადების შემთხვევაში. სარეაბილიტაციო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობა დღეს ქვეყანაში ძალიან მცირეა. ამდენად, ნებისმიერი ინიციატივა, მ.შ. „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალის“ წინადადება, რომელიც მიმართულია ქვეყანაში სარეაბილიტაციო სერვისების შექმნასა და გაფართოებაზე მნიშვნელოვანია.

აქვე დავაზუსტებთ, რომ სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის თანახმად (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 01-9/ნ, 2016 წლის 4 მარტი) სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელია (ა) სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი დაწესებულება (მ.შ. სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის ცენტრი, სპეციალიზებული კაბინეტი, სანატორიუმი) (ტიპი g) და (ბ) სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სტაციონარი - (ტიპი D).

დანართი 5 გვერდი

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია